



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 40 50

18/05/2017

**ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრებზე, რომლებიც არ არიან საქართველოს
ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 32-ე მუხლით
გათვალისწინებულ თანამდებობებზე, საკრებულოს წევრის საქმიანობის
განხორციელებასთან დაკავშირებული საკონპესაციო ხარჯების ანაზღაურების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის და 156-ე მუხლის მე-5 ნაწილის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის, „ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრებზე, რომლებიც არ არიან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 32-ე მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობებზე, საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული საკონპესაციო ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 აგვისტოს №27 დადგენილების საფუძველზე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც არ არიან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 32-ე მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობებზე, 2017 წლის მაისის თვის საკონპესაციო ხარჯები აუნაზღაურდეს №1 დანართის მიხედვით.
2. მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურმა უზრუნველყოს თანხის გაცემა უნაღლო ანგარიშსწორებით.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი სამტრედია, ძმები ნინუების ქ.№1) ბრძანების ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვალერი ბახტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე